



ენერგეტიკული სექტორი

პრობლემები და გამოწვევები

მურმან მარგველაშვილი

მსოფლიო გამოცდილება

საქართველოსთვის(WEG)

31 იანვარი 2012



შესავალი

- WEG-ის წერილი დონორებს, მთავრობასა და პარლამენტს
- ენერგეტიკის სამინისტროს ნება და მზაობა ღია დიალოგში სექტორის სპეციალისტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მონაწილეობისათვის

პასუხისმგებლობა:

წარმოდგენილია მხოლოდ ჩვენი ხედვა. მრავალი კრიტიკული საკითხი.

შინაარსი:

მნიშვნელოვანი წარმატებები , მაგრამ სისტემების ნაკლებობა.
სიტუაცია საფრთხილოა - საჭიროა ენერგიული ქმედება




წინაპირობები

- ყველაზე წარმატებული სექტორის სტატუსი
- ახალმა მთავრობამ აიღო სექტორზე სტრუქტურული პასუხისმგებლობა. დადებითი მოლოდინი და აღებული ვალდებულებები
 - ენერჯის შეუფერხებელი მიწოდება
 - ტარიფების შემცირება
 - ინვესტიციების მოზიდვა ჰესების განვითარებისათვის
 - ინფრასტრუქტურის განვითარება
 - განახლებადი ენერჯისა და ენერჯო ეფექტურობის შესახებ კანონები (სავარაუდოდ)
- პასუხისმგებლობის აღებამდე აუცილებელია სექტორის ინვენტარიზაცია და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტა

შეფასება გვკარნახობს ქმედებას

შეფასების კრიტერიუმები:

- წარსულ მდგომარეობასთან შედარება
- მომავლზე პროექცირება
- მიღწევად შესაძლებლობებთან შედარება
- გამოყენებული რესურსების შეფასება



დონორთა დახმარებით განხორციელებული რეფორმები 1994-2003



- სექტორის გადარჩენა/რეაბილიტაცია (გენერაცია, გადაცემა & განაწილება)
- საქენერგოს დაყოფა
- სამინისტროს, დამოუკიდებელი მარეგულირებლისა და ელ. ენერჯის საბითუმო ბაზრის შექმნა. უფლებამოსილებების გამიჯვნა.
- ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიური გაზსადენი - სატრანზიტო შეთანხმებები
- სადისტრიბუციო კომპანიების პრივატიზაცია და ინვესტიციები (AES)
- დასავლური მენეჯმენტის შესვლა GSE, WEM, UEDC
- გამჭვირვალე და გასაგები საკანონმდებლო ბაზა
- სემეკის მიერ დანახარჯებზე ხარჯების ამსახავი ტარიფების დადგენა
- მთავრობის სექტორში ჩარევის მინიმიზაცია
- სპეციალისტების გაზრდა და ინსტიტუტების განვითარება



რეფორმების მეორე ათწლეული

- სექტორში თანხების ჩადება და ელ. ენერჯისა და გაზის მიწოდების გაუმჯობესება, თუმცა:
 - მძლავრი ცენტრალიზაცია და კონტროლი - სამინისტროს ფუნქციებში პოლიტიკური, რეგულირების, მართვისა და მესაკუთრის უფლებების კონცენტრაცია
 - სემეკის, ნავთობისა და გაზის სააგენტოს დასუსტება – ეკონომიკური რეგულირების ფუნქციების პოლიტიკურით ჩანაცვლება
 - ენერგოსაწარმოების ერთიან პაკეტად პრივატიზაცია
 - საბითუმო ბაზრის გაუქმება და სისტემის კომერციული ოპერატორისა (ESCO) და ორმხრივი სავაჭრო ბაზრის შექმნა
 - გამჭვირვალობის შემცირება (შეთანხმებები, გამანაწილებელი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება)
 - მემორანდუმები და ტარიფები (გახანგრძლივება 2025,2030)
 - აირტურბინის მშენებლობა (არა ჰესებს)
 - ცვლილებები ელექტროენერჯისა და გაზის კანონში, ახალი საბაზრო წესები, კონკრეტული მიზნისათვის განხორციელებული წინააღმდეგობრივი საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები
- დასავლური მოდელიდან გადახვევა – მბრძანებლურ სისტემაზე დაბრუნება**
- პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების შენელება



სისტემური პრობლემები

- ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის არარსებობა, რომელიც უნდა მოიცავდეს: SWOT, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, უსაფრთხოების ასპექტებს, საბაზრო მოდელის სამომავლო ხედვას ასევე ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას და სხვა საკითხებს.
- ელექტროენერჯის სამინისტრო - არ მოიცავს სხვა ენერგო რესურსებს, EE & RE კანონები
- არ არის ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად, ერთიანი ენერგეტიკული ბალანსი
 - 60-65% იმპორტზე დამოკიდებული
 - საკუთარი ენერგო რესურსების – 40% ხე-ტყე დანარჩენი კი ჰიდრო
 - არაა სათანადოდ შესწავლილი ქვანახშირის, ნავთობის, გაზისა და განახლებადი ენერჯის წყაროების პროტენციალი
- არ ხორციელდება დაგეგმვა – ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის პროგნოზიც კი (MARKAL შედეგები არ გამოიყენება)
- პროფესიონალების ნაკლებობა

სისტემური პრობლემები



- ელექტროენერჯის ბაზრის მონოპოლიური სტრუქტურა და საკუთრების ფორმები კონკურენციის შექმნის სირთულე
- სემეკი არაეფექტური - ტარიფების დადგენაში, ბაზრის რეგულირებაში
- საკუთრების უფლების და მარეგულირებელი ძალაუფლების გადანაწილება, პოლიტიკური ჩარევა არასტაბილურობას იწვევს
- საინვესტიციო გარემო - ჰიდროენერჯის განვითარება შენელდა – სისტემის ნაკლოვანებების დაბალანსება დათმობებით (გადასახადები, წყლის საფასური)- ინვესტორები მეტ დათმობებს ითხოვენ
- კვლევებისა და დანერგვის არარსებობა



დაგროვილი პრობლემები

- საკანონმდებლო ბაზის ხარისხი, ელ.ენერჯის და გაზის კანონი, ნავთობისა და გაზის განონი, საბაზრო წესები, ქსელის კოდექსის არარსებობა და სხვა – აუარესებს საინვესტიციო გარემოს
- კონკურენციის, ძლიერი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს, გამჭვირვალე და მდგრადი პოლიტიკის არარსებობის გამო ვერტიკალურად ინტეგრირებული სეგმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა ქვეყნების სახელმწიფო კომპანიების მიერ კონტროლდება.

განსაკუთრებით საშიშია ქვეყნის დამოუკიდებელი, პროდასავლური განვითარებისათვის.

- მემორანდუმები – გრძელვადიანი კონცესიები
 - RAO UES – გახანგრძლივდა 2025-მდე (?)
 - Energo-Pro - გახანგრძლივდა 2025-მდე(?)
 - SOCAR - გახანგრძლივდა 2030 -მდე(?)
 - დაურეგულირებელი სიტუაცია ყაზტრანსგაზთან და კახეთის გამანაწილებელთან
 - დაურეგულირებელი სიტუაცია ინვესტორებთან ჰესების განვითარებაზე (მაგ. სიმძლავრეების განაწილება გადამცემ წსელზე)
 - ჰესების განვითარებაზე დადებული მემორანდუმების არსებული პრობლემები

დაიდო და გახანგრძლივდა ყოველგვარი ალტერნატივების, გრძელვადიანი პოლიტიკისა და ანალიზის გარეშე - საჭიროებენ გადახედვას.

დიდი ოდენობის ფული უკვე გასხვისებულია ტარიფების საშუალებით დაბრუნების ან ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის ბერკეტების გარეშე



ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები

- **წიაღისეული რესურსების მოძიება და წარმოება**
 - დაუძიებელია ნავთობისა და გაზის პოტენციური რესურსების 80%
 - სათანადოდ არაა განვითარებული ქვანახშირის მოპოვება
 - ფიქალის გაზის შესაძლო მარაგები გამოუკვლეველია
 - აღარ არსებობს გადამამუშავებელი საწარმოები
- **გაზის საცავი** – არ აშენებულა. SOCAR-ის მიერ ხორციელდება დაბალანსება რაშიც საფასურს ვიხდით. რამდენს?
- არც ერთი ჰესის მშენებლობა არ დამთავრებულა - აშნდა არაეფექტური გაზის ტურბინა და არა კომბინირებული ციკლის თბოსადგური.
- ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ დამთავრდა (40% რეგიონალური მომხმარებლების)
- დაბალი ენერგოეფექტურობა (შენობები, ინდუსტრია, შეშის მოხმარება)
- არაა განვითარებული - ქარის, მზისა და გეოთერმული ენერჯია
- სპეციალისტების კვალიფიკაციის დაბალი დონე




გამოწვევები

- ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება-ზამთარში ენერჯის მიწოდება
 - შავი ზღვის გადამცემი ხაზი– ტექნიკური და რეგულირების საკითხები
 - თურქეთის ბაზარი & რეგიონალური ბაზარი, გამოწვევები
 - ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება– ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, მოლაპარაკებები ენერგეტიკული გაერთიანების სრულყოფილებიან წევრობაზე
 - სტრატეგიული ინვესტორების მონაწილეობით ჰიდროენერჯის განვითარება
 - განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სტრატეგიისა და კანონმდებლობის შექმნა
 - საკუთარი წიაღისეული და განახლებადი ენერჯო რესურსები: ქვანახშირი, ნავთობი, გაზი, ქარისა და მზის ენერჯია და სხვა.
 - სამხრეთის ენერგეტიკული დერეფანი და ქვეყნის სარგებელი
 - სატარიფო მეთოდოლოგიის მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის დანერგვა
 - ქსელური ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და განვითარება
 - ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაცვა.
- ძლიერი პროდასავლური ენერგეტიკული სექტორის ჩამოყალიბება

ტარიფები



- ტარიფების შემცირება - არასწორი ამოცანა
- მოლაპარაკებები სამინისტროსა და ინვესტორებს შორის - მარეგულირებლის უგელვებელყოფა
- სუბსიდია – სამომავლო გახანგრძლივებით
- სამინისტროსათვის პასუხისმგებლობის არასწორი განაწილება
- ეკონომიკის სექტორში პოლიტიკური ჩარევა უკან გადადგმული ნაბიჯია.
- გაზის ტარიფის შემდგომი სუბსიდირება გაზრდის გაზის მოხმარებას რაც უარყოფითად აისახება შიდა რესურსების (ქვანახშირისა და შეშის) მოხმარებაზე.
- უარყოფითი გავლენა ინვესტიციებზე, ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, ეკონომიკის განვითარებაზე
- **შემობრუნებაა საჭირო**



პრობლემების
ორმოდულ სახეობათა
მხარეს ამოსვლა
არასწორი ინერციით

სექტორის რეფორმირების პროგრამა



- ენერგეტიკული სტრატეგია რომელიც ობიექტურ ინფორმაციასა და შესაბამისი დაგეგმვის მეთოდებზე იქნება დამყარებული
- საკანონმდებლო ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან – დიდი სტრატეგიული პრობლემა – როგორ გავუმკლავდეთ არსებულ რეალობას
- განახლებად ენერჯისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობა
- სემეკის დამოუკიდებლობა და პროფესიული განვითარება
- საბაზრო მოდელი და საბაზრო წესები, რეგიონალური ბაზარი
- ინსტიტუციური და პროფესიული ზრდა, განვითარება.
თითოეული წინადადება მნიშვნელოვანია
- სექტორის რეფორმირების პროგრამის დახვეწა
 - გონივრულად - არსებული სენსიტიური საკითხებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება
 - გამჭვირვალე და ხარისხიანი დოკუმენტების შექმნა, მართვის მექანიზმების დახვეწა
 - პირველ რიგში კონცეფციების შექმნა და განხილვაა აუცილებელი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

სამინისტროს განვითარება



მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად-

- თანამედროვე სისტემებისა და პროფესიული კადრების ჩამოყალიბება
 - მისია და ხედვა
 - მიზნები
 - შეფასების ძირითადი მაჩვენებლების დადგენა
 - სტრუქტურა
 - სამსახურებრივი მოვალეობების განსაზღვრა
 - თანამშრომლების სწორად შერჩევა
 - პროფესიული ტრენინგები
- მძლავრი ექსპერტული მხარდაჭერა



დასკვნა



- ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობა
 - ევროკავშირთან დაახლოების მიზნებთან არაა შესაბამისობაში,
 - შეიცავს სერიოზულ საფრთხეს ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარებისათვის
- პირველი ეტაპი გვაჩვენებს დადებით და უარყოფით ნიშნებს
- მთავრობის და საზოგადოების დამოუკიდებულება ენერგეტიკისადმი შესაცვლელია
- სამინისტრო უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური წნეხისაგან და მიეცეს გრძელვადიან საკითხებზე მუშაობის საშუალება
- რეფორმების ახალი ტალღის საჭიროება
 - ძლიერი და კოორდინირებული დონორული დახმარების მობილიზება
 - უმაღლესი კვალიფიკაციის მრჩეველთა ჩართვა
 - სექტორის სპეციალისტების აქტიური მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია
 - პარლამენტის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

მადლობა ყურადღებისთვის

WWW.WEG.GE